

პრეზიდენტის ავღაბრის რეზიდენციას სახელი გადაარქვეს



პრეზიდენტის სასახლეს სახელი გადაარქვეს – ავღაბრის რეზიდენციას სახელმწიფო ცერემონიების სასახლე ჰქვია და დღეს ის საღამო ზურაბიშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ, პირველად გაიღება.

„სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით შესაბამის განკარგულებას გამოსცემს საქართველოს მთავრობა. ეს არის შეთანხმებული, სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე იმართება დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის ხელმოწერათვის პრეზიდენტის სახელით მიღება ავღაბარში, სახელმწიფო ცერემონიების სასახლეში.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ ნაწილს, საქართველოს პარლამენტში შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც მუშაობს ამ საკითხზე. რა თქმა უნდა, კომისიის მუშაობაში ჩართულია როგორც მთავრობა, ისე პრეზიდენტის ადმინისტრაცია და განიხილება შესაბამისი ვარიანტები, თუ რა განთავსდება ადმინისტრაციულ ნაწილში“, – განაცხადა ხატია მოისწრაფიშვილი.

მეხუთე პრეზიდენტის მიღება, რომელიც 9 აპრილს უკავშირდება, სწორედ ავღაბრის რეზიდენციაში გაიმართება.

„ეს არ გახდავთ პრეზიდენტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება. ეს გახდავთ შეთანხმება პრეზიდენტსა და პრემიერს შორის, რომ ძირითად ნაწილს დაერქვას სახელმწიფო ცერემონიების სასახლე. ადმინისტრაციულ შენობას რაც შეეხება, ამასთან დაკავშირებით შექმნილია საპარლამენტო ჯგუფი, რომელიც დეპუტატებთან ერთად აღმასრულებელი ხელისუფლებაც არის ჩართული. მეც გახდით

კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე, სადაც არის მსჯელობა, რა მიმართულებით განვითარდეს ადმინისტრაციის ნაწიდი. ძირითად ნაწილს რაც შეეხება, ეს არის შეთანხმება, რაც განაცხადა ხატია მოისწრაფიშვიდმა“, – აღნიშნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, დამა ჟვანიამ.

მისი თქმით, ადმინისტრაციის ნაწილის ფუნქციის საკითხი საპარლამენტო ჯგუფის კომპეტენციაა.